ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

1.1 ბანკი (სს „თიბისი ბანკი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 204854595; საზედამხედველო ორგანო: „საქართველოს ეროვნული ბანკი“; მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2) კლიენტს გაუხსნის ანგარიშ(ებ)ს, აწარმოებს მის საბანკო ოპერაციებს და გაუწევს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით.

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

6.3 ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის / ბანკის მიერ კლიენტის ინფორმირებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეცდომით ჩარიცხული თანხის კლიენტის მიერ დაუბრუნებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტის საფუძველზე ბანკისთვის გადასაცემი თანხის 0,05%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

7.5.4 კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების / პროდუქტების (მათ შორის სადაზღვევო პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და გაწევისათვის აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ (ს/კ 205023856), სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ (ს/კ 204426674) და/ან TBC Bank Group PLC (#10029943) ჯგუფის წევრ კომპანიებს, მათ შორის სს „თიბისი დაზღვევას (ს/კ 405042804), შპს „ოლ ფროფერთი ჯის“ (ს/კ 404449272), შპს „რედმედს“ (ს/კ 405341465) ან/და შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/კ 204929961), რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>

7.5.5 კლიენტთან კომუნიკაციის გამარტივების, ეფექტურად და დროულად განხორციელების მიზნით, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (როგორც პერსონალური მონაცემები, მათ შორის საბანკო საიდუმლოების შემცველი (კონფიდენციალური) ინფორმაცია), შეუზღუდავად, ნებისმიერი მოცულობით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად) გადასცეს შპს „საქართველოს ფოსტას“ ან/და სხვა საკურიერო/საფოსტო მომსახურების გამწევ კომპანიას/კომპანიებს, რომელიც/რომლებიც თავის მხრივ კისრულობს/კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვას/დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და უზრუნველყოს/უზრუნველყონ ბანკის გზავნილის მიწოდება ადრესატისთვის.

<u>გაუქმდეს ხელშეკრულების მე-15 მუხლის 15.7.2 ქვეპუნქტი.</u>

<u>ხელშეკრულების მე-15 მუხლს დაემატოს 15.31 პუნქტი შემდეგი რედაქციით:</u>

15.31 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ერთდროულად უწევს რამდენიმე ვალდებულების შესრულება (რამდენიმე კრედიტის ერთდროულად (ერთ თარიღში) დაფარვა), იგი უფლებამოსილია, ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომისას (ყოველ ჯერზე), ვალდებულების დაფარვამდე მიმართოს განცხადებით ბანკის ნებისმიერ ფილიალს / სერვისცენტრს და მოითხოვოს ვალდებულებების შესრულება (სესხის დაფარვა) მისთვის სასურველი თანმიმდევრობით (პრიორიტეტულობით). ხოლო, თუ კლიენტი არ გამოიყენებს წინამდებარე პუნქტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ბანკი მოახდენს ვალდებულებების დაფარვას შემდეგი პრიორიტეტულობით: პირველ რიგში დაიფარება საკრედიტო ბარათებთან / ოვერდრაფტებთან დაკავშირებული გადასახდელები, შემდგომ დაიფარება არაუზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი და ბოლოს უზრუნველყოფილი კრედიტ(ებ)ი. ამავდროულად, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტული შემთხვევისას, ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულებათა შესრულების რიგითობა (პრიორიტეტულობა).